

დემენციის (ალცჰაიმერის დაავადების) ეროვნული სამოქმედო გეგმა

საბერძნეთი, 2015-2020

თავი 3. სტრატეგიული დაგეგმარება

ეროვნული სამოქმედო გეგმის ხედვა

დემენციის ეროვნული და მდგრადი პოლიტიკის შემუშავება, პირველად ჩვენს ქვეყანაში, ყველა დაინტერესებული მხარის, კერძოდ, ჯანდაცვის სამინისტროს, პოლიტიკური ორგანოების, აკადემიური ინსტიტუტების, ჯანდაცვის სპეციალისტებისა და დემენციით დაავადებული პირების ორგანიზაციების ვალდებულებით, რომლის მიზანია:

- 1 დემენციის სინდრომების ეფექტური მკურნალობა და დემენციით დაავადებული პირებისა და მათი მომვლელების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.
- 2 დემენციის პრევენცია და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა.
- 3 დემენციით დაავადებული პირების მკვეთრად გაზრდილი რაოდენობისთვის ეკონომიურად ეფექტური მართვის ღონისძიებების განხორციელება.

ეროვნული სამოქმედო გეგმის პრინციპები და მიზნები

დემენციისა და ალცჰაიმერის დაავადების ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადება ეფუძნება ქვემოთ ჩამოთვლილ პრინციპებსა და ღირებულებებს, რომელიც შედის ევროკავშირისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მიღებულ პრინციპებსა და ღირებულებების ნუსხაში.

ეროვნული გეგმა ეფუძნება 4 ძირითად პრინციპს:

- პრევენცია
- დროული დიაგნოსტიკა
- მოვლა დაფუძნებული მორალზე და დოკუმენტაციაზე
- პაციენტისა და მომვლელის ცხოვრების ხარისხი

დემენციის ეროვნული გეგმის სტრატეგიული მიზნები

პოლიტიკური მიზნები

- ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით პარტიებს შორის კონსენსუსის უზრუნველყოფა
- მისი განხორციელების უწყვეტობის უზრუნველყოფა

- განხორციელების პროგრესის მონიტორინგის სისტემის შემუშავება.

სოციალური მიზნები

- გარკვეული სოციალური ნორმებისა და ქცევების განსაზღვრა და გავრცელება, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს დემენციის რისკ-ფაქტორებს. კერძოდ: კვების ჩვევები, ფიზიკური აქტივობა, სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა, გონებრივი ვარჯიში.
- საზოგადოების განათლება, რათა აღმოიფხვრას დემენციასთან დაკავშირებული სტიგმა.
- დემენციით დაავადებული პირისთვის მრავალგანზომილებიანი და პერსონალიზებული მზრუნველობის უზრუნველყოფა, რისი მიზანია ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.
- დაავადების ბოლო სტადიის პაციენტებისთვის პალიატიური მზრუნველობის უზრუნველყოფა.
- სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობით შესაბამისი საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის შექმნა დემენციით დაავადებული ადამიანების გრძელვადიანი შენარჩუნებისა და მომვლელების ტვირთის შემსუბუქების მიზნით.
- დემენციით დაავადებული ადამიანების საკანონმდებლო უფლებების დაცვა როგორც ჯანდაცვისა ასევე სოციალურ (კერძო მოვლა) სექტორში.
- დემენციის, როგორც ინვალიდობის გამომწვევი ჯანმრთელობის მდგომარეობის, საკანონმდებლო დონეზე აღიარება, დემენციით დაავადებული ადამიანებისა და მათი მომვლელების ფინანსური დახმარებითა და ფინანსური შეღავათებით უზრუნველყოფის ინსტიტუციონალიზაცია.

ეპიდემიოლოგიური მიზნები

- ჩვენს ქვეყანაში დემენციის შემთხვევების აღრიცხვის ინტეგრირებული სისტემის შემუშავება, რათა ინფორმაცია ოპერატიულად შეგროვდეს და დაეხმაროს დემენციასთან ბრძოლის მიზანმიმართული პოლიტიკას.

პირველი ღერძი: დემენციის მქონე პირთა რეგისტრაცია და კლასიფიკაცია

***ამოცანა 1: დემენციის მქონე პირთა ეროვნული რეესტრი
მიზნები:***

ქვეყანაში პრობლემის რეალური მასშტაბის დაფიქსირება - დემენციის ავადობისა და სიკვდილიანობის მონაცემები.

სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებითი მონაცემების მიწოდება.

რაციონალური ეროვნული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც დაფუძნებულია ვალიდურ და სანდო მონაცემებზე.

განსახორციელებელი ქმედებები:

1. დემენციის ეროვნული რეესტრის განვითარებისათვის ბიზნეს გეგმის მომზადება.
2. საპილოტე განხორციელება შერჩეულ გეოგრაფიულ რეგიონებში.
3. დემენციის ეროვნული რეესტრის ჩამოყალიბება.
4. შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება და დემენციის ეროვნული რეესტრის ოპერაციული პროცედურების განსაზღვრა.
5. პროფესიონალებისა და ინსტიტუციების ცნობიერების ამაღლება და მათი ინფორმირება დემენციის მქონე პირთა აღრიცხვის მნიშვნელობისა და პროცესის შესახებ.

პასუხისმგებელი უწყებები:

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული სკოლა
- დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი (KEELPNO)

ბიუჯეტი: 500 000 ევრო.

ამოცანა 2: დემენციის მქონე პირთა კლასიფიკაცია და ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა დაავადების ალგორითმისა და ოჯახების ფინანსური ტვირთის საფუძველზე

მიზნები: დემენციის მქონე პირთა კლასიფიკაციის ინსტრუმენტის შემუშავება თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის კრიტერიუმებზე დაყრდნობით. დემენციის მქონე პირთათვის ფინანსური დახმარების ინსტიტუციური კონსოლიდაცია მათი საჭიროებების და მახასიათებლების შესაბამისად.

1. საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა, ჯანდაცვის პროფესიონალებისა და დემენციის მქონე პირთა მომვლელების მოსაზრების გათვალისწინება (ბიბლიოგრაფიული კვლევა, სხვა ქვეყნების წარმატებული პრაქტიკები,

კონსენსუსის პანელები ჯანდაცვის პროფესიონალებისა და მომვლელების მონაწილეობით).

2. დემენციის მქონე პირთა კლასიფიკაციის მოდელის შემუშავება (კლასიფიკაციის კრიტერიუმების განსაზღვრა).
3. კლასიფიკაციის ალგორითმის განვითარება.
4. თითოეულ პაციენტზე და კლასიფიკაციის კატეგორიაზე ფინანსური დახმარების ოდენობის განსაზღვრა.
5. დემენციის მქონე პირთა ელექტრონულ-ავტომატური კლასიფიკაციის ინსტრუმენტების განვითარება.
6. დემენციის მქონე პირთათვის ფინანსური დახმარების პროგრამის ჩამოყალიბება.
7. დემენციის მქონე პირთა კლასიფიკაცია შეზღუდული შესაძლებლობის სერტიფიცირების ცენტრებში (KEPA).

პასუხისმგებელი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო
- შრომის სამინისტრო
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული სკოლა
- დემენციის ეროვნული ობსერვატორია

ბიუჯეტი: 100 000 ევრო

მეორე ღერძი: პრევენცია, ინფორმირება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება

ამოცანა 1: დემენციის პრევენციის ღონისძიებები

ამოცანა გულისხმობს მოსახლეობის ინფორმირებასა და განათლებას დემენციის პრევენციის მეთოდების შესახებ. ასევე მოიცავს შესაბამისი პრევენციული პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას.

1. მეხსიერებისა და მენტალური კლინიკებს, ალცჰაიმერის დაავადებაზე მომუშავე არაკომერციულ ორგანოზაციებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებს შორის სექტორთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება ჯანდაცვის სამინისტროსა და დემენციის ეროვნული ობსერვატორიის ზედამხედველობის ქვეშ.

2. მოსახლეობის ინფორმირება და განათლება დემენციის რისკფაქტორების, მათი გამოვლენის მეთოდებისა და სკრინინგის პროგრამების დანერგვის შესახებ ადრეულ ეტაპზე, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე.

პასუხისმგებელი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო
- განათლების სამინისტრო (უნივერსიტეტები)
- სამედიცინო სამეცნიერო საზოგადოებები
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციები
- ალცჰაიმერზე მომუშავე არაკომერციული ორგანიზაციები
- დემენციის ეროვნული ობსერვატორია*

* 2014 წლის დეკემბერში, საბერძნეთის პარლამენტმა მიიღო კანონი დემენციის მიმართ ეროვნული სტრატეგიის განხორციელების უზრუნველსაყოფად. ამ კანონმა უფლებამოსილება მისცა დამოუკიდებელი საჯარო დაწესებულების **დემენციისა და ალცჰაიმერის დაავადების ეროვნული ობსერვატორიის** შექმნას. ობსერვატორია მოქმედებს პაციენტთა უფლებების პატივისცემის, მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პრინციპებით და ასრულებს შემდეგ მიზნებს:

1. დემენციის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებისა და შემდგომი განახლებების უზრუნველყოფა.
2. პარლამენტისთვის, ჯანდაცვის სამინისტროსა და სხვა საჯარო ორგანოებისთვის ოფიციალური რეკომენდაციების მიწოდება დემენციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და პოლიტიკური ზომების შესახებ.
3. პაციენტებისა და მათი მომვლელებისთვის ეფექტური მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების მუშაობის კოორდინაცია და ხელშეწყობა.
4. კვლევისა და განათლების სფეროში ეროვნული პოლიტიკის ორგანიზებისა და ხელშეწყობისთვის კონკრეტული რეკომენდაციების მიწოდება.

ბიუჯეტი: 2 500 000 ჯამურად 2016-2020 წლებისთვის (500 000 ევრო წელიწადში) ყველა რეგიონისთვის.

ამოცანა 2: ინფორმირება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება აქცია გულისხმობს ფართო საზოგადოების ინფორმირებას და დემენციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, რათა ხელი შეუწყოს სწრაფ დიაგნოსტიკას და მკურნალობას, ასევე სტიგმის წინააღმდეგ ბრძოლას შესაბამისი ეროვნული საინფორმაციო კამპანიის ორგანიზებით.

1. ადრეული დიაგნოსტიკის სარგებლის, დემენციის პრევენციისა და სტიგმასთან ბრძოლის შესახებ მოსახლეობაში ფართომასშტაბიანი კამპანიების ჩატარება.
2. ადგილობრივი კონფერენციების, სემინარებისა და შეხვედრების ორგანიზება.
3. დაავადების, ხელმისაწვდომი დაწესებულებების და მომსახურებების შესახებ საინფორმაციო ბროშურების გამოცემა.
4. იმ პროფესიული ჯგუფების წვრთნა-ტრენინგი, რომლებიც უშუალო კონტაქტში არიან დემენციის მქონე პირებთან (საჯარო მოხელეები, სასულიერო პირები და ა.შ.)

პასუხისმგებელი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო
- განათლების სამინისტრო (უნივერსიტეტები)
- სამედიცინო სამეცნიერო საზოგადოებები
- დემენციის ეროვნული ობსერვატორია
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციები
- ალცჰაიმერზე მომუშავე არაკომერციული ორგანიზაციები

ბიუჯეტი: 2 500 000 ევრო ჯამურად 2016-2020 წლებისთვის (500 000 ევრო წელიწადში).

მესამე ლერძი: დემენციის მქონე პირთა მომვლელების მხარდაჭერა

ამოცანა 1: მომვლელების მხარდაჭერა

დემენციის მკურნალობას საზოგადოებაში დღეს დიდი ყურადღება ეთმობა.

პაციენტის სახლში დარჩენა და საზოგადოებაში ჩართვის ეფექტურობა

მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მხარდამჭერი ოჯახური გარემოს არსებობაზე.

დემენციით დაავადებული ადამიანების მომვლელები მნიშვნელოვან

ფსიქოლოგიურ, ფინანსურ და ფიზიკურ ჯანმრთელობის ტვირთს განიცდიან. მათი

მხარდაჭერა ყველა დონეზე აუცილებელი და სავალდებულოა. განსაკუთრებით, უნდა წახალისდეს დახმარების წყაროების ძიება.

1. მომვლელთა ყოველწლიური დღის დაარსება.
2. სხვადასხვა უწყებას შორის თანამშრომლობის საფუძველზე რეგიონულ და ეროვნულ დონეზე დემენციის მქონე პირთა მომვლელებისთვის საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზება და განხორციელება.
3. საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალების გამოცემა (მომვლელთა სახელმძღვანელო).
4. დისტანციური სწავლების პროგრამების დანერგვა დემენციის მქონე პირთა მომვლელებისთვის.
5. ცხელი ხაზის შექმნა მომვლელებისთვის და “silver alert” სერვისის მხარდაჭერა.
6. დემენციის მქონე პირთა მოვლის დაწესებულებებში მომვლელთა საინფორმაციო ცენტრების შექმნა, რომლებიც დაკომპლექტებული იქნება ჯანდაცვის სისტემის პროფესიონალებით (ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები).
7. მომვლელთა ეფექტური მხარდაჭერის მიზნით დემენციის ადგილობრივი სერვისების მჭიდრო თანამშრომლობისა და ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა ხანდაზმულთა სოციალური მოვლის არსებულ ქსელთან და პირველადი ჯანდაცვის სერვისებთან.

პასუხისმგებელი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო
- სრულყოფილების ცენტრები
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციები
- ალცჰაიმერზე მომუშავე არაკომერციული ორგანიზაციები

ბიუჯეტი: საერთო ჯამში 1 000 000 2015-2020 წლების პერიოდში.

- 50 000 ევრო წელიწადში - მომვლელების დისტანციური სწავლების პროგრამების განხორციელებისთვის.
- 660 000 ევრო ჯამურად - დახმარების ხაზების შექმნისა და ოპერირებისთვის.
- 90 000 ევრო ჯამურად - silver alert სერვისის მხარდაჭერისთვის.

მეოთხე ღერძი: დემენციის მკურნალობა

ამოცანა 1: დემენცია პირველადი ჯანდაცვის სისტემაში

ეს ქმედება მიზნად ისახავს დემენციის ინტეგრაციას პირველად ჯანდაცვაში და ეხება დემენციით დაავადებული ადამიანების სწრაფი დიაგნოსტიკური სერვისების ორგანიზებას და მართვას პირველად ჯანდაცვაში.

1. ჯანდაცვის პროფესიონალებისა და პირველადი ჯანდაცვის სერვისების ქსელური დაკავშირება მეხსიერებისა და მენტალური ფუნქციების კლინიკებთან.
2. დემენციასთან ასოცირებულ საკითხებში (იხ. ღერძი 7) პირველადი ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული პირების განათლება და ტრენინგი.
3. ჯანდაცვის სამინისტროს ფსიქიკური ჯანმრთელობის დირექტორატის მიერ დემენციის კლინიკური სახელმძღვანელოების გავრცელება და დანერგვა.
4. ქვეყნის თითოეულ რეგიონში დემენციის საკითხებზე რეგიონული სერვისის შექმნა, ან შესაბამისი ადმინისტრაციული პირის დანიშვნა, რომლის პასუხისმგებლობაც იქნება დემენციის სფეროში არსებული სერვისებისა და დაწესებულებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, ასევე მათი კავშირი რეგიონებში მოქმედ ჯანდაცვის სერვისებთან. აღნიშნული რეგიონული სერვისები ფინანსური დახმარების პროგრამების შესახებ ინფორმირებაზეც პასუხისმგებელი იქნებიან.

პასუხისმგებელი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო (პირველადი ჯანდაცვის ეროვნული ქსელი)
- რეგიონული ჯანდაცვის დირექტორატები
- დემენციის სრულყოფილების ცენტრები
- რეგიონები
- სამედიცინო-სამეცნიერო საზოგადოებები
- დემენციის ეროვნული ობსერვატორია
- ალცჰაიმერის დაავადებაზე მომუშავე არაკომერციული ასოციაციები

ბიუჯეტი: დამატებითი ხარჯი არ არის გათვალისწინებული.

ამოცანა 2: გადაუდებელი დახმარების ერთეულებსა (საავადმყოფოს მიმღებებში) და ზოგადი პროფილის საავადმყოფოების განყოფილებებში დემენციის მქონე პირების მომსახურების (სერვისის) გაუმჯობესება.

ამოცანა ეხება შეთავაზებული სამედიცინო მომსახურების (სერვისების) კოორდინაციას, როდესაც დემენციის მქონე პირებს აღენიშნებათ სხვადასხვა თანმხლები დაავადებები და მიმართავენ გადაუდებელ სამედიცინო დახმარების განყოფილებებს (მიმღებებს) გამოსაკვლევად ან ჰოსპიტალიზებული არიან ზოგადი პროფილის საავადმყოფოების განყოფილებებში. კოორდინაცია მიიღწევა სპეციალური გამოკვლევისა და მკურნალობის პროტოკოლების შექმნით და თითოეულ ზოგადი პროფილის საავადმყოფოში დემენციაზე პასუხისმგებელი კოორდინატორი ექიმის დანიშვნით, რომელიც უზრუნველყოფს დემენციის მქონე პირებისთვის ადეკვატურ კლინიკურ მომსახურებას გამოკვლევისა და ჰოსპიტალიზაციის პროტოკოლების დაცვით. საავადმყოფოებში, რომლებსაც მოეკუთვნება მეხსიერებისა და მენტალური ფუნქციების კლინიკებს, კოორდინატორი ექიმი არის კლინიკის კვალიფიციური ექიმი.

1. დემენციის მქონე პირთათვის სპეციალური გამოკვლევისა და მკურნალობის პროტოკოლის შემუშავება.
2. ზოგადი პროფილის საავადმყოფოების კონკრეტულ დეპარტამენტებში მომუშავე ჯანდაცვის პროფესიონალების განათლება და ტრენინგი დემენციის საკითხებში (იხ. დერძი 7).
3. თითოეულ ზოგადი პროფილის საავადმყოფოში დემენციის საკითხებზე პასუხისმგებელი კოორდინატორი ექიმის დანიშვნა.

პასუხისმგებელი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო
- განათლების სამინისტრო (უნივერსიტეტები)
- სამედიცინო-სამეცნიერო საზოგადოებები
- სრულყოფილების ცენტრები
- დემენციის ეროვნული ობსერვატორია

ბიუჯეტი: დამატებითი ხარჯი არ არის გათვალისწინებული.

ამოცანა 3: მეხსიერებისა და ფსიქიკური ფუნქციების კლინიკები

ღონისძიება მოიცავს მეხსიერებისა და ფსიქიკური ფუნქციების კლინიკის შექმნას და ფუნქციონირებას ყველა ზოგადი პროფილის საავადმყოფოში, რეგიონული დანაყოფების ადგილმდებარეობის მიხედვით.

1. მეხსიერებისა და ფსიქიკური ფუნქციების კლინიკების ყოველდღიური ფუნქციონირების გაფართოება იმ საავადმყოფოებში, სადაც ისინი უკვე არსებობს.
2. მეხსიერებისა და ფსიქიკური ფუნქციების კლინიკების დანერგვა რეგიონულ მულტიპროფილურ საავადმყოფოებში.
3. ზემოაღნიშნული კლინიკების დაკომპლექტება ეროვნული ჯანდაცვის სისტემის არსებული პრესონალით ან ახლად დანიშნული თანამშრომლებით.
4. მეხსიერებისა და ფსიქიკური ფუნქციების კლინიკებსა და პირველადი ჯანდაცვის ექიმებსა და სტრუქტურებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა რათა მოხდეს ინფორმაციის წვდომა და დაიგეგმოს და განხორციელდეს ერთობლივი ღონისძიებები და აქტივობები. .
5. მეხსიერებისა და ფსიქიკური ფუნქციების კლინიკებსა და დღის მოვლის ცენტრებს (Day Care Center) შორის ურთიერთქმედება და თანამშრომლობა (ღერძი 4, მოქმედება 4).
6. მეხსიერებისა და ფსიქიკური ფუნქციების კლინიკების საქმიანობის რეგულარული შეფასება დემენციის ეროვნული ობსერვატორიის ზედამხედველობით.

პასუხისმგებელი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო
- რეგიონული ჯანდაცვის დირექტორატები
- დემენციის სრულყოფილების ცენტრები
- დემენციის ეროვნული ობსერვატორია

ბიუჯეტი: 1 800 000 ევრო წელიწადში, 60 მეხსიერებისა და ფსიქიკური ფუნქციების კლინიკისათვის (30 000 ევრო წელიწადში თითოეულ კლინიკაზე, ექიმის გარდა დამატებით ორი ჯანდაცვის პროფესიონალის ანაზღაურებისთვის).

ამოცანა 4: დემენციის მქონე პირთათვის დღის მოვლის ცენტრები
ღონისძიება გულისხმობს სხვადასხვა ქალაქში საბერძნეთის მასშტაბით დემენციის მქონე პირთათვის განკუთვნილი დღის მოვლის ცენტრების თანდათანობით განვითარებას და არსებული დღის მოვლის ცენტრების გაძლიერებას.

ამავდროულად, ეს ღონისძიება მიზნად ისახავს დღის მოვლის ცენტრების თანამშრომლობის გაუმჯობესებას დემენციის მქონე პირებთან მომუშავე ხანდაზმულთა სოციალური მზრუნველობის სტრუქტურების არსებულ ქსელთან (K.A.P.I, K.I.F.I, მეგობრობის კლუბები, მოხუცებულთა სახლები, საეკლესიო ორგანიზაციები), რომელთა ჯანდაცვის სპეციალისტები დემენციაში წამყვანი გამოცდილების მქონე ცენტრებში (Centers of Excellence) ტრენინგს გაივლიან (ღერძი 7).

1. პროგრამა PSYCHARGOS-ის ფარგლებში არსებული დღის მოვლის ცენტრების გაძლიერება სხვადასხვა სპეციალობის ჯანდაცვის პროფესიონალებით.
2. დემენციის ეროვნული ობსერვატორიის მიერ დღის მოვლის ცენტრების შექმნისა და ფუნქციონირების პირობების განსაზღვრა.
3. მომდევნო 10 წლის განმავლობაში დემენციის მქონე პირთათვის დღის მოვლის ცენტრების ეტაპობრივი განვითარება 20 000-ზე მეტი მოსახლეობის მქონე ქალაქებში.
4. 2020 წკანდე 30 დღის მოვლის ცენტრის შექმნა და ფუნქციონირება სახელმწიფო ორგანოზიაციების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ალცჰაიმერის დაავადებაზე მომუშავე არაკომერციული ორგანოზიაციებისა და კერძო სექტორის მონაწილეობით.
5. თანამშრომლობისა და ქსელური კავშირის განვითარება ხანდაზმულთა ჯანდაცვისა და სოციალური ზრუნვის არსებულ სტრუქტურებთან, რომლებიც ეფექტურად მუშაობენ დემენციის მქონე პირებთან.

პასუხისმეგებლი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
- ალცჰაიმერის დაავადებაზე მომუშავე არაკომერციული ორგანოზიაციები
- კერძო სექტორის დაწესებულებები
- დემენციის ეროვნული ობსერვატორია

ბიუჯეტი: თითოეული დღის მოვლის ცენტრის წლიური ბიუჯეტი 120 000 ევრო, რაც მოიცავს ხუთი ჯანდაცვის პროფესიონალის ანაზღაურებასა და საოპერაციო ხარჯებს.

ამოცანა 5: დემენციის მქონე პირთათვის საცხოვრებელი და გრძელვადიანი მოვლის სტრუქტურების დანერგვა

აქცია ეხება დემენციით დაავადებული იმ ადამიანების გრძელვადიანი მოვლის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რომლებსაც არ შეუძლიათ სახლში დარჩენა, სახლში მოვლის მიუხედავად. შემოთავაზებულია ხანდაზმულთა მოვლის განყოფილებების (Care Units for the Elderly) სერტიფიცირება და უწყვეტი შეფასება, ასევე დემენციით დაავადებული ადამიანებისა და მათი მომვლელების მხარდაჭერა ამ განყოფილებების გამოყენებისთვის ფინანსური დახმარების გაწევით. ეს დახმარება გაიცემა ღერძი 1-ის მე-2 მოქმედების კრიტერიუმების შესაბამისად და განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გაეწიოთ იმ ადამიანებს, რომლებსაც არ აქვთ დაზღვევა.

ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებები დემენციით დაავადებულ იმ ადამიანებს ემსახურება, რომლებსაც აღენიშნებათ ქცევითი დარღვევები და საჭიროებენ გაძლიერებულ მოვლას. გარდა ამისა, დემენციით დაავადებული ადამიანები შეიძლება მოთავსდნენ მოკლე დროით, რათა მათ მომვლელებს შეეძლოთ დასვენება. და ბოლოს, გრძელვადიანი მოვლის სტრუქტურებში მოთავსების მიზანია არასაკმარისი სოციალური მხარდაჭერის მქონე დემენციით დაავადებული ადამიანების (ღარიბების, უსახლკაროების) მოვლა მანამ, სანამ მათ წინაშე არსებული სირთულეები არ მოგვარდება.

1. ქვეყნის სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში დემენციის მქონე პირთა საცხოვრებელი მომსახურების საჭიროების შეფასება.
2. ხანდაზმულთა მოვლის იმ დაწესებულებებისთვის სპეციალური სერტიფიცირების კრიტერიუმების შემუშავება, რომლებიც იღებენ დემენციის მქონე პირებს, მათი სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.
3. დემენციის მქონე პირთა მიმღები ხანდაზმულთა მოვლის დაწესებულებების უწყვეტი მონიტორინგი და შეფასება.
4. დემენციის მქონე პირთა კლასიფიკაცია და მათთვის, აგრეთვე მათი მომვლელებისთვის, სპეციალური ფინანსური დახმარების პროგრამების შექმნა (ღერძი 1, ამოცანა 2).

პასუხისმგებელი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
- ხანდაზმულთა მოვლის დაწესებულებები
- არასამთავრობო და ეკლესიური ორგანიზაციები
- სოციალური დაცვის ორგანოები და კერძო სადაზღვეო კომპანიები

- დემენციის ეროვნული ობსერვატორია

ბიუჯეტი: 100 000 ევრო

ამოცანა 6: პალიატიური მოვლის სტრუქტურები

მიზნად ისახავს ტერმინალური ავადმყოფებისთვის პალიატიური მზრუნველობის სტრუქტურების (ჰოსპისების) შექმნას.

ამ ცენტრების ადეკვატური სივრცითი განაწილება, პერსონალი და ინფრასტრუქტურა აუცილებელია მაღალი ხარისხის მზრუნველობის უზრუნველსაყოფად. არსებული სტრუქტურების (მაგ., კლინიკების ძველი შენობების) გამოყენება და ადაპტაცია შეიძლება იყოს ინფრასტრუქტურის პრაქტიკული განვითარება.

1. არსებული პალიატიური მოვლის სტრუქტურების ფარგლებში სერვისების განვითარება.
2. სპეციალური პროტოკოლებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება, პაციენტთა სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით. პალიატიური მოვლის პერსონალის ტრენინგი აღნიშნული პროტოკოლის მიხედვით.
3. პალიატიური ზრუნვის ახალი დაწესებულებების შექმნა იმ რეგიონებში, სადაც ამის საჭიროებები არსებობს.
4. არსებული დაწესებულებების გამოყენება და ადაპტაცია.
5. დემენციის მქონე პირთა და მათი მომვლელებისთვის გაზრდილი ფინანსური დახმარების პროგრამების დანერგვა პალიატიური მოვლის საჭიროებების დასაფარად (ღერძი 1, ამოცანა 2).

პასუხისმგებელი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
- რეგიონები
- ქველმოქმედებითი ორგანიზაციები
- სადაზღვეო ფონდები და კერძო სადაზღვეო კომპანიები
- დემენციის ეროვნული ობსერვატორია

ბიუჯეტი: დემენციის მქონე პაციენტის მოვლის დღიური ღირებულება 80 ევრო. შესაბამისად, 100-საწოლიანი კლინიკისთვის საერთო ხარჯი შეადგენს 20 000 000 ევროს (2016-2020).

ამოცანა 7: დეცენტრალიზებული ზრუნვა - მოვლა სახლში

აქცია ეხება დემენციის მქონე პირებს, რომლებსაც არ შეუძლიათ სახლიდან გადაადგილება სერიოზული მობილობის პრობლემების, დაავადების შორსწასული სტადიის ან მომვლელის გადაადგილების შეზღუდვის გამო. ის მოიცავს მოვლის სერვისებს სხვადასხვა სფეროში, როგორცაა მედიცინა, საექთნო და სოციალური მომსახურება, რათა გაადვილდეს ყოველდღიური ცხოვრება და საბოლოოდ გაუმჯობესდეს დემენციის მქონე პირებისა და მათი მომვლელების ცხოვრების ხარისხი.

სახლში მოვლის სერვისები დაკომპლექტებულია სოციალური მუშაკებით, ჯანდაცვის ვიზიტორებით, ექთნებით და ა.შ., რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან დემენციის მქონე პირთა მოვლაზე დაავადების მთელი პროცესის განმავლობაში და აკავშირებენ დემენციის მქონე პირთა სახლებს პირველადი ჯანდაცვის სერვისებთან.

1. იმ მუნიციპალიტეტებში, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი შესაძლებლობები, სახლში მოვლის სერვისების შექმნა, რომელიც დაექვემდებარება დემენციის რეგიონულ სერვისებს (ღერძი 4, ამოცანა 1).
2. ხანდაზმულთა სოციალური ზრუნვის არსებული სტრუქტურების (“სახლში დახმარება”, მეგობრობის კლუბები, ხანდაზმულთა მოვლის ცენტრები, ეკლესიური ორგანიზაციები) ურთიერთკავშირის და თანამშრომლობის გაძლიერება პირველადი ჯანდაცვის სერვისებთან. ამასთან, სრულყოფილების ცენტრებიდან სერტიფიცირებული ტრენინგის გავლით ჯანდაცვის პროფესიონალების გადამზადება (იხ. ღერძი 7, ამოცანა 2).
3. პროფესიული სერტიფიცირების სქემის ჩამოყალიბება იმ პროფესიონალებისა და მომვლელებისთვის, რომლებიც შესაბამისი კვალიფიკაციის გარეშე არიან ჩართული დემენციის მქონე პირთა მოვლაში.
4. პროფესიონალი მომვლელების ტრენინგი და სერტიფიცირება.

პასუხისმგებელი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო და PEDY (პირველადი ეროვნული ჯანდაცვის ქსელი)
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

- კვალიფიკაციებისა და პროფესიული ორიენტაციის სერტიფიცირების ეროვნული ორგანიზაცია
- სრულყოფილების ცენტრები

ბიუჯეტი: 500 000 ევრო.

ამოცანა 8: ტელემედიცინის სერვისები

შორეულ რაიონებში მცხოვრები დემენციით დაავადებული ადამიანებისთვის და მათ მომვლელებისთვის მომსახურების მიწოდება ვერ შეედრება ურბანულ ცენტრებში არსებულ მომსახურებას. თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების - ტელემედიცინის - განვითარება ხელს უწყობს არა მხოლოდ შორეულ, არამედ განცალკევებულ რაიონებში სამედიცინო მომსახურების დეფიციტის დაძლევას, მათზე წვდომის გამარტივებას და მომსახურების ღირებულების შემცირებას.

1. შორეულ რეგიონებში გარე ტელემედიცინის კლინიკების შექმნა, რომელთა ბაზა განთავსდება ჯანრმთელობის ცენტრებში ან ადგილობრივ ჯანდაცვის ერთეულებში და რომლებიც ითანამშრომლებენ მულტიპროფილური საავადმყოფოების მეხსიერებისა და ფსიქიკური ფუნქციების კლინიკებთან.
2. სახლში მოვლის შერჩეული პროგრამების გაძლიერება ტელემედიცინის ადჰურვილობით (გარე მობილური ტელემედიცინის ერთეულები) იმ დემენციის მქონე პირთათვის, რომელთაც აქვთ გარე ტელემედიცინის კლინიკაზე წვდომის შეფერხებები .
3. იმ ჯანდაცვის პროფესიონალების დაჩქარებული განათლება და გადამზადება, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც გარე ტელემედიცინის კლინიკების, ისე მობილური ტელემედიცინის ერთეულების ფუნქციონირებას.

პასუხისმგებელი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო
- განათლების სამინისტრო (უნივერსიტეტები)
- შრომის სამინისტრო
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

ბიუჯეტი: 20 000 ევრო - თითოეული გარე ტელემედიცინის კლინიკის ერთჯერადი დაფინანსება.

ღერძი 5: კანონმდებლობა - დემენციის მქონე პირთა და მათი მომვლელების უფლებები.

ეს ამოცანა ეხება დემენციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობის მიღებას. ქმედება ფოკუსირებულია სისტემურ პრობლემებსა და საჭიროებებზე, რომლებიც წარმოდგენილია საბერძნეთში არსებული სიტუაციის ანალიზში, კერძოდ თავში „კანონმდებლობა და დემენციის მქონე პირთა უფლებები“. საბერძნეთში არსებული სიტუაციის ანალიზი გვთავაზობს შემდეგი საკითხებზე ყურადღების გამახვილებას:

1 პირდაპირი მომსახურების ავტონომია

2 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

3 ჯანმრთელობის უფლება

4 ავტონომიის არაპირდაპირი მომსახურების სფეროში

5 ტექნიკური საკანონმდებლო მიმართულებები

ამოცანა 1: მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებები

1. სპეციალური საკანონმდებლო კომიტეტის ჩამოყალიბება კანონპროექტის მოსამზადებლად და დასაწერად.
2. კანონპროექტისა და განმარტებითი ბარათის წარდგენა ჯანდაცვის სამინისტროში.
3. საპარლამენტო პროცედურის დასრულება - კანონის მიღება და მისი გამოქვეყნება სახელმწიფოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.
4. კანონის განხორციელების ზედამხედველობა.

პასუხისმგებელი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო
- პარლამენტი
- დემენციის ეროვნული ობსერვატორია

ბიუჯეტი: 30 000 ევრო ერთჯერადი ანაზღაურება სპეციალური საკანონმდებლო კომიტეტის 10 წევრისთვის.

ღერძი 6: დემენციის კვლევა

ამოცანა 1: ეროვნული კვლევითი პროგრამების გამოცხადება და საერთაშორისო კვლევით ინიციატივებში მონაწილეობა.

ეს ამოცანა ეხება ყოველწლიურად ან ორ წელიწადში ერთხელ დემენციის სფეროში კონკურსებში სამეცნიერო პროექტების განაცხადების შეტანის წახალისებას (ინფორმირებას) და დემენციის შესახებ საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობის მისაღებად, როგორცაა ნეიროდეგენერაციული დაავადებების ერთობლივი პროგრამა (JPND). ამ პროექტებში მოიაზრება საერთაშორისო და ეროვნული კვლევითი პროგრამები, რომლებიც ეხება საბაზისო კვლევას, კლინიკურ კვლევას, ტრანსლაციურ კვლევას, დანერგვითი კვლევას და ა.შ. კვლევის ობიექტად - ან სუბიექტად შემდეგი შეიძლება წარდგეს: ეპიდემიოლოგია, გამოვლენის ან პროგნოზის დამცავი ფაქტორები და რისკ-ფაქტორები, დემენციის ფინანსური და სოციალური გავლენა, საბერძნეთსა და საერთაშორისო დონეზე გამოყენებული ტექნოლოგიური რესურსები და ექსპერტიზა, სტრუქტურებისა და ჯანდაცვის სერვისების საჭიროებების აღრიცხვა და ანალიზი, ექიმებისა და სხვა ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლების პრაქტიკისა და ჩვევების შეფასება დემენციის სფეროში, შედარებითი ეფექტურობის კვლევა (შედარებითი ეფექტურობის კვლევა) და ა.შ. კვლევითი პროგრამების განხორციელების ხანგრძლივობა 2-5 წელი იქნება.

1. ფინანსური რესურსების უზრუნველყოფა ევროპული და ეროვნული წყაროებიდან.
2. შესაბამისი განცხადებების გამოცემა და გამოქვეყნება, რომლებიც ფოკუსირებულია არსებულ ხარვეზებსა და საჭიროებებზე.
3. პროგრამების განსახორციელებლად ინსტრუმენტების შეფასება და შერჩევა დამოუკიდებელი გარე ექსპერტების მიერ (საბერძნეთის გარეთ), უზრუნველყოფილი შესაბამისი ანაზღაურებით და რომლებიც შეირჩევიან არსებული საერთაშორისო სიებიდან, სამინისტროებიდან, GGET-დან (კვლევისა და ტექნოლოგიის გენერალური სამდივნო), უნივერსიტეტებიდან ან კრიზისული მართვის უფლებამოსილების დელეგირებით საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ასოციაციებისათვის.
4. საბერძნეთის მონაწილეობა დემენციის თემატიკაზე ყველა საერთაშორისო ინიციატივაში (მაგ. ნეიროდეგენერაციული დაავადებების ერთობლივი პროგრამაში JPND მონაწილეობა)

პასუხისმგებელი უწყებები:

დემენციის ეროვნული ობსერვატორია კოორდინაციით თანამშრომლობენ:

- ჯანდაცვის სამინისტრო
- კვლევისა და ტექნოლოგია გენერალური სამდივნო
- არაკომერციული ორგანიზაციები და კვლევითი ინსტიტუტები.

ბიუჯეტი: 5 000 000 ევრო წელიწადში.

ამოცანა 2: ჯილდოები საუკეთესო მკვლევრებისათვის

ეს ინიციატივა დემენციის სფეროში საუკეთესო მკვლევრებისთვის პრიზებს აწესებს, რომელთა ხარჯებსაც სახელმწიფო ან კერძო ორგანოები (1 კლინიკური და 1 საბაზისო კვლევისთვის) აიღებენ.

1. ფინანსური რესურსების უზრუნველყოფა
2. ჯილდოების პროცესისა და მათი მნიშვნელობის აქტიური პოპულარიზაცია.
3. განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების თანამშრომლობა ჯილდოების კრიტერიუმების განსაზღვრისა და კანდიდატთა შეფასების მიზნით.
4. შემოსული განაცხადების შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ შესაბამისი ანაზღაურებით, არჩეული არსებული საერთაშორისო სიებიდან, სამინისტროებიდან, GGET-დან (კვლევისა და ტექნოლოგიის გენერალური სამდივნო), უნივერსიტეტებიდან.

პასუხისმგებელი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო
- კვლევისა და ტექნოლოგიების გენერალური სამდივნო
- არაკომერციული ორგანიზაციები და კვლევითი ინსტიტუტები

ბიუჯერი: 10 000 ევრო წელიწადში (5 000 თითო ჯილდოზე).

ღერძი 7: განათლება დემენციის სფეროში

ამოცანა 1: კლინიკური და კვლევითი სტიპენდიები

ეს ქმედება მიზნად ისახავს სტიპენდიების გაცემას დემენციის სფეროში კლინიკური და კვლევითი საქმიანობაში.

კლინიკური სტიპენდიები (სტიპენდიები) განკუთვნილია ექიმებისთვის, ნევროლოგებისთვის, ფსიქიატრებისთვის, გერიატრიული მედიცინის მუშაკებისთვის, თერაპევტებისთვის, ზოგადი პრაქტიკის ექიმებისთვის და

სხვა სპეციალობებისთვის. კვლევითი სტიპენდიები განკუთვნილია ექიმებისთვის, ბიოლოგებისთვის, ნეირომეცნიერებისთვის და სხვა ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დემენციის სფეროთი და შეიძლება ჰქონდეთ სამაგისტრო დოქტორანტურის ნაშრომის, პოსტდოქტორული განათლების სახე.

სპეციალიზაციების ხანგრძლივობა იქნება ერთ ან ორწლიანი.

ამ ქმედების მეშვეობით ექსპერტების საწყისი კრიტიკული მასის შექმნა აუცილებელია შემდგომი კლინიკური, საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობის წამოწყებისათვის.

1. დემენციის სფეროში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან თანამშრომლობა სტიპენდიანტთა შერჩევისა და მომზადების მიზნით.
2. მომდევნო 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 10 კლინიკური სტიპენდიის გამოცხადება.
3. მომდევნო 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 5 კვლევითი სტიპენდიის გამოცხადება.

პასუხისმგებელი უწყებები:

- დემენციის ეროვნული ობსერვატორია
- უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები
- საბერძნეთის ნევროლოგიური საზოგადოება
- საბერძნეთის ფსიქიატრიული ასოციაცია
- დემენციაში წამყვანი გამოცდილების მქონე ცენტრები

ბიუჯეტი: 30 000 ევრო თითო სტიპენდიაზე (450 000 ევრო წელიწადში)

ამოცანა 2: დემენციასთან ბრძოლის წამყვანი გამოცდილების მქონე ცენტრები (Centres of Excellence for dementia)

დემენციასთან ბრძოლის წამყვანი გამოცდილების მქონე ცენტრები იქნება საჯარო ან კერძო, ან მათი კომბინაცია და ხელს შეუწყობს დემენციის კლინიკური სპეციალიზაციის (სტაჟირების) მიღწევას. ისინი ასევე უზრუნველყოფენ დემენციის დარგში რეზიდენტების (ნევროლოგები, ფსიქიატრები, გერიატრები, ზოგადი პრაქტიკის ექიმები, თერაპევტები და სხვა სპეციალისტები) დაჩქარებული კლინიკური განათლების საბაზისო საგანმანათლებლო ერთეულს, რომლებიც დააკომპლექტებენ მეხსიერებისა და ფსიქიკური ფუნქციების კლინიკებს და სხვა

შესაბამის სტრუქტურებს. ცენტრები არ წარმოადგენენ აუცილებლად ვერტიკალური ხასიათის შესაბამის ინტეგრაციას, მაგრამ შეიძლება ჰქონდეთ ქსელური სტრუქტურა (მაგ., გეოგრაფიულად მეზობელი დაწესებულებები, რომლებსაც აქვთ დამატებითი სტრუქტურები და შესაძლებლობები, მაგრამ რომლებიც, თუმცა, აჩვენებენ მჭიდრო თანამშრომლობას და ურთიერთქმედებას).

1. წამყვანი გამოცდილების მქონე ცენტრების სერტიფიცირების კრიტერიუმების შემუშავება.
2. კონკურსის გამოცხადება დემენციაში წამყვანი გამოცდილების ცენტრების შექმნის მიზნით.
3. კონკრეტული პროგრამების განმახორციელებელი ორგანოების შეფასება და შერჩევა სათანადო ანაზღაურების მქონე დამოუკიდებელი გარე შემფასებლების (საბერძნეთის გარდა) მიერ, რომლებიც შეირჩევიან გარე მოსამართლეების, სამინისტროების, GGET-ის (კვლევისა და ტექნოლოგიების გენერალური სამდივნო), უნივერსიტეტების და ა.შ. არსებული სიებიდან ან შეფასების პროცესის დელეგირებით საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ასოციაციებში..
4. ცენტრებია დაკომპლექტება და ოპერირების უზრუნველყოფა.
5. სერტიფიცირების განახლება და ახალი კანდიდატების წარდგენა ცემენტრებისათვის ყოველ 3-5 წელიწადში.

პასუხისმგებელი უწყებები:

- დემენციის ეროვნული ობსერვატორია
- ჯანდაცვის სამინისტრო
- განათლებისა სამინისტრო და უნივერსიტეტები
- ჯანდაცვის საგანმანათლებლო ინსტიტუტები

ბიუჯეტი: 150 000 ევრო თითო ცენტრზე წელიწადში.

ამოცანა 3: დემენციის სფეროში სამედიცინო სპეციალიზაცია

ამოცანა ეხება საბერძნეთში ნევროლოგების, ფსიქიატრების, თერაპევტების, ზოგადი პრაქტიკის ექიმებისთვის დემენციის ოფიციალური სამედიცინო სპეციალიზაციის შემუშავებას.

დემენციაში წამყვანი გამოცდილების მქონე ცენტრები შესაბამის სამეცნიერო საზოგადოებებთან ერთად განახორციელებენ ტრენინგებსა და სერტიფიცირებას

კლინიკურ სპეციალიზაციაში (ბერძნული ნევროლოგიური საზოგადოება, საბერძნეთის ფსიქიატრიული ასოციაცია)

1. წამყვანი გამოცდილების მქონე ყველა ცენტრისთვის ერთიანი, სტანდარტიზებული ერთწლიანი სასწავლო პროგრამის შემუშავება.
2. დემენციის სპეციალიზაციის დამტკიცება ჯანმრთელობის ცენტრალური საბჭოს მიერ.

პასუხისმგებელი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო (ჯანმრთელობის ცენტრალური საბჭო)
- განათლების სამინისტრო (უნივერსიტეტები)
- დემენციაში წამყვანი გამოცდილების მქონე ცენტრები ()
- სამედიცინო საზოგადოებები

ბიუჯეტი: 30 000 ევრო თითო ტრენინგზე (180 000 ევრო წელიწადში).

ამოცანა 4: დემენციის თემატიკის გაძლიერება საბაკალავრო განათლებაში.

ამოცანა გულისხმობს დისციპლინებში, სადაც ისწავლება დემენცია, ბაკალავრიატის განათლების გაძლიერებასა და გაფართოებას და კერძოდ, შესაბამისი სასწავლო დროის გაზრდას როგორც სამედიცინო სკოლაში ასევე საექთნო, ბიოლოგიის, ფარმაკოლოგიისა და ფსიქოლოგიის კათედრებზე და სხვა კათედრებზე. ზემოთ ჩამოთვლილი ბაკალავრიატის კურსები შეიძლება იყოს ძირითადი ან არჩევითი კურსები, სამუშაო წვრთნის (სატრენინგო) პროგრამები და ა.შ.

1. უმაღლესი სკოლების საბაკალავრო პროგრამებში დემენციის თემატიკის შემცველი სავალდებულო ან არჩევითი კურსების შემუშავება.
2. განაცხადების შეფასება და იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების შერჩევა, რომლებიც ამ კონკრეტულ პროექტებს განახორციელებენ.

პასუხისმგებელი უწყებები:

- განათლების სამინისტრო (უნივერსიტეტები)
- ჯანდაცვის სამინისტრო
- უმაღლესი განათლების დაწესებულებები

ბიუჯეტი: 50 000 ევრო წელიწადში. (1 კურსი 5000 ევრო, სულ 10 კურსი)

ამოცანა 5: დემენციის სწავლება სამედიცინო რეზიდენტურის პერიოდში

ლონისძიების მიზანია ნევროლოგიის, ფსიქიატრიის, შინაგანი მედიცინისა და ზოგადი მედიცინის სპეციალობებში სამედიცინო კლინიკური განათლების (ცოდნისა და უნარების) გაუმჯობესება. იგი მოიცავს დემენციის მქონე ადამიანებთან სავალდებულო კონტაქტს (კლინიკური როტაცია) სამი თვის განმავლობაში, ნევროლოგიურ-ფსიქიატრიულ კლინიკებში სადაც მეხსიერებისა და ფსიქიკური ფუნქციის განყოფილებებია.

1. სამეცნიერო ორგანოებს შორის თანამშრომლობა ნევროლოგიის, ფსიქიატრიის, შინაგანი მედიცინისა და ზოგადი მედიცინის სპეციალობების სარეზიდენტო პროგრამის კურიკულუმში (სასწავლო გეგმაში) დემენციასთან დაკავშირებული სამთვლიანი ტრენინგის დანერგვის მიზნით.
2. პროგრამის დამტკიცება უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო ორგანოს მიერ (Central Health Council - ჯანდაცვის მთავარი საბჭო).

პასუხისმგებელი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო
- განათლების სამინისტრო
- სამედიცინო საზოგადოებები (ნევროლოგთა საზოგადოება, ფსიქიატრთა საზოგადოება და ა.შ.)
- დემენციის ნაციონალური ობსერვატორია

ბიუჯეტი: დამატებითი ფინანსური ხარჯი არ არის გათვალისწინებული.

ამოცანა 6: სპეციალისტი ექიმებისა და სხვ. ჯანდაცვის პროფესიონალების გადამზადება დემენციის სფეროში

ამოცანა დამიზნულია დემენციაში წამყვანი გამოცდილების მქონე ცენტრებში ტრენინგის მეშვეობით (ხანგრძლივობით 3 თვე) დემენციის ირგვლივ ცოდნის გაძლიერებაზე. ის განკუთვნილია კვალიფიციური ნევროლოგების, ფსიქიატრების, თერაპევტებისა და ზოგადი პრაქტიკის ექიმების, ასევე სხვა ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის, რომლებიც მეხსიერებისა და ფსიქიკური ფუნქციების კლინიკების თანამშრომლების გუნდს შეემატებიან.

1. წამყვანი გამოცდილების ცენტრების მიერ საგანმანათლებლო მასალების და გასაწრთველი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა, რომელთა განთავსებაც ან განათლებაც მათ შეუძლიათ.
2. საგანმანათლებლო პროგრამების გამოცხადება და განხორციელება.

პასუხისმგებელი უწყებები:

- ჯანდაცვის სამინისტრო
- დემენციაში წამყვანი გამოცდილების ცენტრები
- განათლების სამინისტრო

ბიუჯეტი: დამატებითი ფინანსური ხარჯი არ არის გათვალისწინებული.

თარგმანი: ნინო ეხვასიას და დავით გიგინეიშვილის